თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2023 წლის 6 სექტემბერი
მორიგი სხდომის
ოქმი № 13

ქ. თერჯოლა

6 აგვისტო 2023 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარის მ/შემსრულებელი დავით გოგბერაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. დავით გოგბერაშვილი, 2. ნინო ჩხიკვაძე, 3.თემურ ქოჩიაშვილი, 4. ლაშა გურგენიძე, 5. იზა მაგრაქველიძე, 6. ბიძინა ბუცხრიკიძე, 7. კობა კაცაძე, 8. ნინო მახათაძე, 9. ომარი ჯიხვაშვილი, 10. ბადრი ბუცხრიკიძე, 11. ჯემალი ისაკაძე, 12. ელისო მურადაშვილი, 13. მანუჩარ ფანჩულიძე, 14.გრიგოლ გიორგაძე, 15. შალვა ჭანკვეტაძე, 16. კახა ბუცხრიკიძე, 17. რამინი რობაქიძე, 18. ფრიდონ გვენეტაძე, 19. ნატალია ასათიანი, 20. როლანდი მესხი, 21. ეკა ბერძენიშვილი, 22. თამარ ახვლედიანი, 23. კობა კირკიტაძე, 24. მერაბი ბასილაძე, 25. რუსუდან კოვზირიძე, 26. ივანე ჩუბინიძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. გოჩა ვერულაშვილი, 3. დავით ცხადაძე, 4.ტარიელ ფანჩულიძე.

საკრებულოს სრული შემადგენლობა: 30 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 30 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 26 წევრი
კვორუმი: 16 წევრი

სხდომას ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე.

სხდომა დაიწყო 12 00 სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - 12 45სთ-ზე.

საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის № 27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის № 28-282324791 წერილი, 04.09.2023 წ)

/მომხს.თ.ქოჩიაშვილი/

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ ინფორმაცია (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის № 28-282324233 წერილი, 30.08. 2023 წ);

/მომხს.თ.ქოჩიაშვილი/

3. საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი", საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი" და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მუნიციპალიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროში ჩადენილ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის ოქმისა და საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების, მათი შინაარსის, შედგენის, გამოყენების, ჩაბარებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის №28-282322286 წერილი, 10.08.2023 წ);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

4. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის № 8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის №28-282322286 წერილი, 10.08.2023 წ);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

5. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ „ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის №28-282322286 წერილი, 10.08.2023 წ);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

6. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის №28-282322286 წერილი, 10.08.2023 წ);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

7. ,,წარმატებული სპორტსმენისა და წარმატებული მწვრთნელის, ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი სკოლის მოსწავლეების , წარმატებული ახალგაზრდის დაჯილდოებისა და ახალგაზრდული ინიციატივის დაფინანსების წესში " თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 ნოემბრის №44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის №28-2823247109 წერილი, 04.09.2023 წ);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 26 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.
მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის № 27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია შემოსავლების გეგმის გაზრდამ და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 20.0 ათასი ლარით და შეადგენს 30081.2 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი, სხვა შემოსავლები გაიზარდა 20.0 ათასი ლარით. (სანებართვო მოსაკრებელი გაიზარდა 20.0 ათასი ლარით).

ხარჯვითი ნაწილი შემცირდა 10.0 ათასი ლარით (კადრების მომზადება-გადამზადების ხარჯი).

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა სულ 30.0 ათასი ლარით. სარეზერვო ფონდი გაიზარდა 10.0 ათასი ლარით. ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება გაიზარდა 20.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: კახა ბუცხრიკიძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა მხარს არ უჭერს ბიუჯეტის ცვლილების პროექტს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19 , წინააღმდეგი - 7

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი (დადგენილება № 15, 06.09.2023 წ.).

2.
მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ ინფორმაცია- ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 1150.0 ათასი ლარით (გრანტი) და შეადგენს 30061.2 ათას ლარს.
საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 1150.0 ათასი ლარით(გრანტი).
ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 1150.0 ლარით.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

გადაწყვიტეს: ცნობად იქნას მიღებული თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ ინფორმაცია.

3.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი", საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი" და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მუნიციპალიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროში ჩადენილ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის ოქმისა და საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების, მათი შინაარსის, შედგენის, გამოყენების, ჩაბარებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი -2022 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტის მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილი იქნა ცვლილებები, რომელიც ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის მიერ, მისი უფლებამოსილების ქვეშ არსებული ტერიტორიის მართვის ფარგლებში, საქართველოს ადმინისტრაციულსამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ კონკრეტულ სამართალდარღვევებზე მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების გაზრდას. ასევე, გამოვლენილ სამართალდარღვევის ფაქტებზე მოხდება დაუყოვნებლივი რეაგირება.

მუნიციპალიტეტი იქნება უფლებამოსილი თავად განსაზღვროს სამართალდამრღვევი სუბიექტისათვის სახდელის გამოყენების საკითხი და სახდელის შეფარდებაზე უფლებამოსილი ორგანო, რაც ამ ცვლილებამდე სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენდა.

ცვლილება ითვალისწინებს, როგორც კანონით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა შინაარსობრივ ცვლილებას, ისე უფლებამოსილ ორგანოებს შორის კომპეტენციების ახლებურ გადანაწილებას. აგრეთვე, ის ითვალისწინებს თანმდევ ტექნიკური ხასიათის ცვლილებებს. ცვლილებების მეშვეობით, მუნიციპალიტეტი აღიჭურვება იმ კომპეტენციით, რომელიც, მოქმედი კანონმდებლობით, გააჩნდა სასამართლოს სამართალდარღვევაზე რეაგირების მიზნით - კონკრეტული სამართალდარღვევების შემთხვევაში სამართალდამრღვევს დააკისრონ შესაბამისი სახდელი.

აზრი გამოთქვეს: კახა ბუცხრიკიძემ- ფრაქცია მხარს არ უჭერს დადგენილების პროექტს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -19 , წინააღმდეგი - 7

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი", საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი" და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მუნიციპალიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროში ჩადენილ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის ოქმისა და საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის

ოქმის ფორმების, მათი შინაარსის, შედგენის, გამოყენების, ჩაბარებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი (დადგენილება №19, 06.09.2023წ.).

4.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის № 8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ .

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -19 , წინააღმდეგი - 7

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის № 8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენიელბის პროექტი (დადგენილება №16, 06.09.2023წ.).

5.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ „ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ .

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -19 , წინააღმდეგი - 7

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ „ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი (დადგენილება №17, 06.09.2023 წ.).

6.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ .

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -19 , წინააღმდეგი - 7

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (დადგენილება №18, 06.09.2023 წ.).

7.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,წარმატებული სპორტსმენისა და წარმატებული მწვრთნელის, ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი სკოლის მოსწავლეების , წარმატებული ახალგაზრდის დაჯილდოებისა და ახალგაზრდული ინიციატივის დაფინანსების წესში " თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 ნოემბრის №44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი- ცვლილებით აღნიშნულ დადგენილებას ემატება 6[1] მუხლი, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო გრანტის მფლობელი სტუდენტების დაჯილდოების წესი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ .

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -26 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,წარმატებული სპორტსმენისა და წარმატებული მწვრთნელის, ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი სკოლის მოსწავლეების , წარმატებული ახალგაზრდის დაჯილდოებისა და ახალგაზრდული ინიციატივის დაფინანსების წესში " თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 ნოემბრის №44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (დადგენილება №20, 06.09.2023 წ.).

სხდომის თავმჯდომარემ, დავით გოგბერაშვილმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 6 სექტემბრის საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარის
მ/შემსრულებელი
დავით გოგბერაშვილი